# ერი

№ 29

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 6 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი“

ხუთშაბათიდან კოლოსალური პროგრამა 6 განყოფილებით.

I. პატე ჟურნალი № 246-ა.

II. ცხოვრება-მცდარია სიყვარული-ტამიურია

4 მოქმ. ძლიერი დრამა „ნორდისკ-მონოგრამ“ ბეტი ნანსენის მონაწილეობით.

III. პრენსი ავტომატში, კომიკური.

АНОНС. надняхъ будет. демонст. Монопольная картина

Ключи Счастья

по ром. В. Вербицкой инсценированному самим автором.

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქალ. ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ

გახსნა საკუთარი

ს ტ ა მ ბ ა

სტამბა საუკეთესოთ მოწყობილია და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს—ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზე.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვი და ზ. ზ. ოგანოვი

10 დეკემბრიდან 1913 წ.

ნიშნავს საშობაო იაფ ვაჭრობას



## ქალაქის თეატრი.

შაბათს, 7 დეკემბერს ქალაქის თეატრში თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი ბ-ნი სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას თემაზე:

ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიის შესახებ.

ლექციის შემოსავალი გადადებულია „ვეფხისტყაოსნის გამოსაცემათ. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა. თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„დ ე ლ ი-ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| ქ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . | 1— 2 |
| ქ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—ოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12— 2 |
| შ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | 12½ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| ბ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . . | 4½—5½ |
| შ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მიწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—შ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.


## გაიგონ!

დასელების სამეფოში ჩანს დიდი არევ დარევა სუფევს. მათი ერთგული რაზმი დღეობით კი არა საათობით მცირდება. ვინც შერჩათ, ისინიც კი მონურ მორჩილებაზე თავს აღარ სდებენ. უმცრესების კედლები ირღვევა და ის ხალხი, ვისაც „მარქსიზმის“ მოძღვრები სისტემატიურათ გონებას უწამლავდნენ, აზროვნებას უხშობდნენ, რომ თვისი ბატონობა მათზე განემტკიცებიათ, დამოუკიდებელი თავისუფალი მოქმედების სურვილს აცხადებს. ამაზე უთქვამთ სწორეთ: „თქვენ შეგიძლიათ ყველა მოატყუოთ, დროებით რამდენიმე ყოველთვის, მაგრამ ყველა რომ ყოველთვის მოატყუოთ—ეს შეუძლებელია.“

დასელებმა ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობა მოისურვეს და ამავე დროს არათუ გვერდს უვლიდენ ქართველი ხალხის ეროვნულ მოთხოვნილებათ, პირდაპირ ფეხით სთელავდენ, ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის საქმეთ აცხადებენ ყველაფერს, რაშიც ქართველი ხალხის როგორც მთლიანი ერთეულის საჭიროება და მოთხოვნილება გამოიხატებოდა. დასელნი ჩვენს ეროვნებას და მის უფლებებს აბუჩათ იგდებდენ. ქართველმა ხალხმა თვით ისინი აიგდო აბუჩათ, ამ ხალხმა ჩამოართვა მათ თავისი ნდობა და სხვა მათი მოწინაალმდეგე ალჭურვა მით. ამ უბედურებით თავზარ დაცემულნი ახლა ცდილობენ შეცდომა გაასწორონ, ხალხში ნიადაგი მოიპოონ და ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ ისინი ერთადერთი და საუკეთესო დამცველები არიან ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისა. მათმა ბელადებმა იკადრეს და ეროვნული საკითხის გარკვევას შეუდგენ. ის პოზიცია, რომელიც აქამდი ეჭირათ, დასცალეს და სხვა გზას ეძებენ, უკან იხევენ, მაგრამ ეს რომ არავინ შეამჩნიოს, საშინელი ხმაურობა ასტეხეს, და გამწარებული იგინებიან, იგინებიან ისე, როგორც მარტო მათ შეუძლიათ გინება. ეს საქმე არაფერი სახარბიელოს ჩვენთვის არ წარმოადგენს. ღმერთმა ხელი მოუმართოსთ, ილანძღონ იქამდი, ვიდრე გულს არ მოიჯერებენ. დღეს მათი ლოზუნგია—გულუბრყვილონი და შეუგნებელნი დაარწმუნონ, რომ ისინი ეროვნულ საკითხს არასდროს არ გაურბოდენ, რომ ქართველი ხალხის ინტერესისთვის არასდროს არ უღალატიათ, რომ ისინი ჩვენი ხალხის საუკეთესო დამცველები იყვნენ და არიან დღესაც.

გაღმა შედავების ტაქტიკაც კარგათ აქვთ შესწავლილი. დღეს ისინი გვიკიჟინებენ ღრმათ დამუშავებული ეროვნული პროგრამის უქონლობას, თითქოს ჩვენ შორის დავა იმის შესახებ სწარმოებდეს, ვის უფრო შემუშავებული აქვს ეს საკითხი. ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ გუშინ ისინი სრულიად არ სცნობდენ ამ საკითხს, რომ იგი თავადაზნაურობის კუთნილებათ მიაჩნდათ, და თუ დღეს მას გვერდს აღარ უხვევენ, მხოლოდ იმიტომ, როგორც მათმა ბელადმა ნარიძემ აღიარა, რომ ამ საკითხის გამოურკვევლობა ასუსტებს ს. დემოკრატიულ პარტიას და ნაციონალისტების ციხე ბურჯებს ამაგრებსო. რასაკვირველია ასეთს პირდაპირ განცხადებას შემდეგ მათ აღარვინ დაუჯერებს, რომ ეროვნული საკითხი და ჩვენი ხალხის ბედ იღბალი თავისთავათ აინტერესებდეს, ეს მათთვის ტაქტიკური საკითხია, სააგიტაციო მასალა და სხვა არაფერი.

მთელი ჩვენი ძალღონე იმას მოვანდომეთ, რომ ხალხში ეროვნული შეგნება შეგვეტანა, ამ ვაჟბატონების წყალობით იძულებული ვიყავით, ყველა ხალხისთვის საანბანო ჭეშმარიტება გვემტკიცებია; და როდესაც მოწინაალმდეგენიც იძულებული ვყავით, ეროვნულ საკითხს მეტი ყურადღებით მოქცეოდენ, ახლა გამოდიან, აქეთ გამოგვძახიან:—ეროვნული პროგრამა დამუშავებული არა გაქვთო, რომ ჩვენს დასელებს რამე მოეთხოვებოდეს, ვეტყოდით—ეს იმან უნდა გვიკიჟინოს, ვისაც უკეთ დაუმუშავებია ეს საკითხი და თქვენ ხომ, არათუ უკეთ, სულ არავითარი გარკვეული შეხედულება არა გაქვთ, თქვენში ხომ ამ საკითხის გამო სრული უაზრობა და არევ-დარევა სუფევს-თქო. „სიტყვის“ მეპრესე ჩვეულებრივი რიხით მოგვითხრობს:

გარდა ამისა, არ აქვთ გარკვეული და გადაწყვეტილი საკითხი ეროვნულ უმცირესობათა უფლების გარანტიისა, თუ ასეთად არ მივიღებთ მათ ცარიელ სიტყვებს—ჩვენ სხვა ხალხს არ დავჩაგრავთო. ერთი სიტყვით ფედერალისტების ნაციონალური პროგრამა ჩვენში ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას კი არ მოასწავებს, არამედ განსაზღვრულ ფარგლებში ქართველების გაბატონებას სხვა ერებზე და მაშასადამე ეროვნული დევნისა და დაჩაგვრის გაძლიერებას და არა მოსპობას. ნაციონალიზმის პროგრამა სხვანაირი არც შეიძლება იყოს. ნაციონალიზმი ხომ ეროვნული თანასწორობისა და თავისუფლების მოძღვრება არ არის!“

ვკითხოთ სიტყვის ბრძენს,—სანამ დღეს გაბატონებული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა არსებობს, სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწინდელი საზოგადოების საფუძველიც ძირიანათ არ შეიცვლება და ახალი სამართლიანი ცხოვრების წესები არ დაწყარდება, როგორ სურს სრული ერთა თანასწორობა და თავისუფლება დაამყაროს? მივვითითოს „სიტყვის" მეპრესემ ისეთს დღეს არსებულ პოლიტიკურ წყობილებაზე, ან ისეთზე, რომლის დამყარება ძირითად სოციალურ ცვლილებათა მოუხდენლათ შესაძლებელია, სადაც ყველას უფლებები თანასწორათ დაცული იქნეს. გარდა „სიტყვის" პუბლიცისტებისა, ვინ არ იცის, რომ აბსოლუტური თავისუფლება და თანასწორობა ფიქციაა, მხოლოდ საქმე ისაა—ს.-დემოკრატიის ცენტრალიზმი, თუ დღეს ყველგან საუკეთესო ფორმათ აღიარებული ფედერალიზმი; ცენტრალისტური ბიუროკრატიის ბატონობა, თუ ეროვნებათა თვითმართველობა და მათი ფედერატიული კავშირი. მართალია, ნაციონალიზმი ეროვნული თანასწორობისა და თავისუფლების მოძღვრება არ არის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თქვენი ინტერნაციონალიზმი გაბატონებული ერისათვის საუკეთესო იარაღია თავის მისწრაფებათა განსახორციელებლათ. შოვინისტური ნაციონალიზმის, შეიძლება, უნებური აგენტები ჩვენში თქვენა ბძანდებით ბ. „სიტყველებო" და საბრალო ხართ, თუ ამას ვერა გრძნობთ: „სიტყვის" პუბლიცისტი დიდ ცოდვათ უთვლის „სიტყვას" რომ ის უმრავლესობის პრინციპის მომხრეა. ამაზე შორს უგნურობა განა წავა კიდევ. მას შემდეგ რაც საზოგადოება არსებობს, მასში ყოველგვარი საკითხი ამ პრინციპის თანახმათ სწყდება. ეს არის საზოგადოების უმთავრესი საფუძველი. იქ სადაც უმცირესობა უმრავლესობას არ ემორჩილება, არც საზოგადოება არსებობს, იგი სწრაფლ იშლება, იქ ანარქია მეფდება. ნეტავი, რომელი პრინციპით ხელმძღვანელობს „სიტყვის" პუბლიცისტი? ან იქნება მას სახეში ეროვნულ უმცირესობის უფლების დაცვა აქვს! მაგრამ ეს საკითხი ხომ თვითონ ჩვენი წამოყენებულია. საზოგადოთ ეროვნული უმცირესობის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებობა რომ მთავარ ერს ხელს უშლიდეს, მაშინ ვერცერთი მხარე ავტონომიას ვერ ეღირსებოდა, რადგან დღევანდელ ხანაში არ არსებობს ისეთი ქვეყანა მარტო ერთი ერი განსაკუთრებით ცხოვრობდეს.. ყველა ეს ასეა, მაგრამ გაიგებენ, ან მოისურვებენ რომ გაიგონ ეს „სიტყველებმა"?

## სახელმწიფო სათათბირო.

### 4 დეკემბრის სხდომა.

სხდომას რიგრიგობით როძიანკო და კონოვალოვი თავჯდომარეობენ. აქვეყნებენ შემოსულ საქმეებს, რომლის შორისაც არის საეროზო დაწესებულებების ბანკის გახსნის შესახებ საკანონმდებლო წინადადება. არის აგრეთვე საკანონმდებლო წინადადება, რომელიც მართლმადიდებელ ღვდელთა პენსიას ეხება. შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ შეკითხვა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებას ეხება. ადმინისტრაცია აპატიმრებს მუშებს და ასახლებს საპენსიო კასის საქმეში დელეგატათ გაგზავნილთ. არის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისა და სახალხო განათლების მინისტრის მიმართ შეკითხვა. ეკითხებიან საშვალო შკოლებში მისაღებ ებრაელთა ნორმის შეზღუდვის შესახებ. შეკითხვები კომისიას გადასცეს. თავჯდომარე წინადადებას იძლევა—სათათბირომ დაავალოს პრეზიდიუმს, რომ ხელმწიფეს სათათიროს სახელით ექვს დეკემბერს დღეობა მიულოცოს. ადგილებიდან ისმის ხმა: გთხოვთ, გთხოვთ. მორიგ საქმეთ რკინის გზის „კატასტროფების გამო მთავრობის განმარტებაა. ინჯინერთა საბჭოს თავჯდომარე კოზორევს ზედმეტათ მიაჩნია იმაზე ლაპარაკი, თუ ამ უკანასკნელ ხანებში რკინის გზებზე მომხდარმა უბედურებამ რამდენი შეშფოთება გამოიწვია. ამ ამბებმა სათათბიროს წრეებშიაც გამოიწვია მღელვარება. ყოველივე ამის გამო კატასტროფის თავიდან ასაცილებელი ზომები ობიექტიურათ იქნა გამოკვლეული. კატასტროფის მიზეზის მცირედათ დამახინჯებაც კი, არათუ სინიდისის წინაშე წარმოადგენს ცოდვას, არამედ უდიდესი დანიშნულებაცაა. ამ საკითხში ცხრა შემთხვევაა რკინის გზებში კატასტროფებისა. ორატორი ვრცლათ ეხება თითოეულ შემთხვევას. სადგურების მახლობლათ მატარებელთა კატასტროფა აგენტების მხრით დაწესებული ინსტრუქციის აუსრულებლობაა. შემდეგი სხდომა შაბათს.

## ახალი ამბავი.

ცნობილი ტერ-გასპარიანცის მოღვაწეობას დღე გაეთვალა.

ქუთ. სახალხო შკოლების დირექტორის ბ. ვიშნევსკის რევიზიას ის შედეგი მოყვა, რომ გასპარიანცი თანამდებობიდან გადააყენეს და მის მიერ სამსახურის დროს ჩადენილი ბოროტმოქმედების თაობაზე მსჯავრის დადება ახლა უკვე სასამართლოს საქმეა. დირექტორი ბ. ვიშნევსკი სამი კვირაა რევიზიას ახდენდა ბათომის ოლქსა და ოზურგეთის მაზრაში. სადაც ოინებს ჩადიოდა ტერ-გასპარიანცი. ამ ოინებზე ბევრი ცნობა იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში.

ბ. ვიშნევსკის წინადადებით, რომ სამართალში მიცემულიყო ეს ტერ-გასპარიანცი, ოლქის მზრუნველს თათფირი მოუხდენია, ჩვენება ჩამოურთმევიათ მისთვის და ისიც გამოტეხილა ყველაფერში.

✦ გუშინ საღამოს ქუთაისიდან გაემგზავრა დასასვენებლათ გუბერნატორი სლავოჩინსკი. გუბერნიის დროებით მართველობა სახელმწიფო ქონებათა სამართველოს უფროსს პაკვალენს დაევალა.

✦ გაზ. ,,დენში'' დასავლეთ საქართველოში შიმშილობის თაობაზე ქუთაისიდან კორესპონდენციაა მოთავსებული. კორესპ. სიტყვით, სულ ამ მხარეში ოთხმოცდაათი ათას ხუთას კომლამდია დამშეულიო.

✦ ორშაბათს ქალაქის საბჭოს სხდომაა დანიშნული, რომელზეც, სხვათა შორის, მსჯელობა იქნება იმის თაობაზე, თუ ქალაქმა რა სახით განახორციელოს მუნიციპალური საქმეები.

✦ სოფ. ოფიშქვითში გუშინ დაკრძალეს გაბო კაპანაძე, რომელიც ორმოცდაათ წელიწადს მსახურათ იყო თავადაზნაურთა საკრებულოში. საკრებულოს გვირგვინით შეუმკია განსვენებულის ცხედარი.

✦ ჩვენ მივიღეთ ქ. ოლიას მიერ ნათარგმნი წიგნათ გამოცემული ჰენრიჰ ჰაინეს ლექსები. წიგნი კარგათაა გამოცემული და ღირს სამ აბაზათ. ,,იმერეთის'' ჟურნალ-გაზეთების კანტორა აცხადებს, რომ ამ წიგნაკზე ხელისმომწერლებს შეუძლიათ იგი კანტორიდან მიიღონ.

✦ საფიჩხიის მცხოვრებნი ჩივიან ღამის რაინდებზე. 3 დეკემბერს ერთს იქაურ მოსახლეს ლუკა სირბილაძეს მიხტომიან ვილაცები და ფანჯრები ჩაულეწიათ.

✦ გუშინწინ რუსულ კონცერტზე ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. კონცერტი კი კარგი იყო. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ორდას სიმღერით, ვიოლონჩელით და სკრიპკითაც.

✦ 4 დეკემბერს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სააზნაურო საადგილმამულო ბანკის 5 პროცენტიანი გირაოს ფურცელი 78 მ. 10 შაურათ ფასობდა, თფილისის ბანკისა კი—81 მანეთად და 24 კაპიკათ.

✦ სოფ. ალისუბლიდან დაუჯერებელ ამბავს იტყობინებიან: 30 ნოემბერს გადაცვლილა 151 წლის მოხუცი ოქრუა თურქაძე, რომლის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი იწერება:—მოხუცი სიკვდილის დღემდი სრულს მეხსიერებაზე იყო. ამ ბოლო ხანებში ცოტა სმენა უსუსტა, თვარა სხვა ნაკლი მას არა ქონია. სამძიმო მუშაობას მუდამ ერიდებოდა. მის საყვარელ საქმეს შეადგენდა: ვაზის გასხვლა, მოხვევა. დი სიმიდის მარგვლა ეს მოხუცი ჭამით ცოტას სჭამდა, დღეში თითო ჭიქა არაყს სვავდა. შეძლება ქონდა უჭმელათ დარჩენილიყო, მხოლოდ ღვინო კი უნდა უთუოთ ქონოდა, ქორწილებსა და სხ. წვეულებებზე ღვინის სმაში მისი გამძლე იშვიათად გამოჩნდებოდა ვინმე, ხშირათ ერთ ჩაფს (?) ღვინოს დალევდა, მაგრამ ფეხი არ შეეშლებოდა, 40 წლის ქვრივი იყო და ცხოვრობდა მარტოთ-მარტო პატარა ქოხში. წირვა-ლოცვას თითქმის სულ არ აკლდებოდაო და სხ.

✦ გუშინ ქუთაისს დაბრუნდა პეტერბურგიდან კიტა აბაშიძე, რომელიც შავიქვის სიბჭოსაგან გაგზავნილი იყო წარმომადგენლათ როსტოვში ამას წინათ მომხდარ სარაიონო სამრეწველო კრებაზე დასასწრებლათ. თავის მხრით ამ კრებამ მას მიანდო მონაწილეობა მიეღო იმ სარაიონო მრეწველთა წარმომადგენლების კრებაზე, რომელიც ამ ცოტა ხანში პეტერბურგში მოხდა.

✦ შაბათს, 7 დეკემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს კიმოთე გვანცაძისა, გ. ჩაგანავას და ბახვა შანიას საქმეს.

✦ რედაქციამ მიიღო ქ. ოლიას ნათარგმნი და ბ. კილაძის მიერ გამოცემული „ჰენრიხ ჰეინეს ლექსები" წიგნები სუფთათაა გამოცემული, 125 გვერდს შეიცავს და ღირს 3 აბიზათ.

✦ ქუთიასის ქართული მომღერალი საზოგადოების კრება დანიშნულია 8 დეკემბერს, კვირას, დილის 11 საათ. გ. გიგინეიშვილის საბუღალტერო კურსების სადგომში, თფილისის ქუჩაზე, ბარქაიას სახლში. ეს კრება უნდა მომხდარიყო 17 ნოემბერს, მაგრამ ამ დღეს არ შეიკრიბა წევრთა საჯერო რიცხვი და კრება არ შესდგა, ამიტომ 8 დეკ. დანიშნული კრება კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავათ დამსწრეთა რიცხვისა.

კრების განსახილველია: 1) 1911-სა და 1912 წლების ანგარიში 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება 3) მომავალი დროის ხარჯთაღრიცხვა 4) არჩევა მამასახლისთა, საბჭოს წევრთა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

✦ 1 დეკემბერს თფილისის სასულიერო სემინარიაში საღამო გაუმართავთ. წარმოუდგენიათ ქართულ ენაზე ვოდევილი „ორი მშიერი'', მოწაფე ასლანიკაშვილს გურული სცენები წაუკითხავს. უმღერიათ გავაშელაშვილსა და ვ. ბიწკინაშვილს. იაკარგალეველის ლოტბარობით ხოროს რამდენიმე სიმღერა შეუსრულებია. საკუთარი ლექსები წაუკითხავთ მოწაფეთ ლეონიძესა და გორგაძეს.

✦ ხვალ საღამოს ქალაქის თეატრში შემდეგ საჯარო ლექციას წაიკითხავს თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი ს. კაკაბაძე: ,,ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიაზე".

# დღიური.

ინგლისი წინადადებას აძლევს დიდ სახელმწიფოებს დამშეულ ალბანელთა სასარგებლოთ 60 ათასი გირვანქა სტერლინგი გადასდვას.

—ავსტრიამ აღმოსავლეთის რკინის გზის ერთი ნაწილის დაბრუნების შესახებ სერბიას წინადადება მისცა.

— ავსტრიის სახელმწიფო ვალი $12^1/_2$ მილიარდ კრონს უდრის.

—ჯიოკონდას სურათის გამტაცებელს იტალიაში გაასამართლებენ. სურათის იტალიაში ჩამოსატანათ მთავრობის მოხელე პოლიციელთა სრული შტატით წავიდა.

— ოკტომბრისტთა პარტიაში განხეთქილებაა.

— კიევის სასამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს წევრებმა ბეილისის პროცესის გამო სამსახურში წარმატება მიიღეს.

-- ბეილისი საზღვარგარეთ მიდის და მთავრობასთან შუამდგომლობა ალძრა საზღვარგარეთ წასასვლელი მოწმობის მიცემის შესახებ.

— სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს პოლონეთის კოლოს წევრებმა პოლონეთის თვითმართველობის კანონპროექტის მიღება სახელმწიფო საბჭოს რედაქციით შეუწყნარებლათ სცნეს.

— პეტერბურგში მუშის დასაფლავების დროს პოლიციის საქმეში ჩირევის გამო გრადონაჩალნიკმა ერთი დეპუტატი ორასი მანეთით დააჯარიმა.

## ძველათ და ახლა.

(გაგძელება იხ. „ერი" № 27).

ჩვენი „ესდეკები" რომ ამბობენ, ეროვნული საკითხი მხოლოდ სოციალიზმის დროს განხორციელდებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული საკითხი დღევანდელი პოლიტიკური პროგრამიდან ამოვშალოთ, ე. ი., ეროვნული საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა არ ღვიაროთ. ეს ნიშნავს ამ საკითხზე ხელის აღებას, მიფუჩეჩებას, ჩაჩუმებას ვითომ სოციალიზმის სახელით!

მაგრამ სოციალიზმი უცებ კი არ დაიბადება, როგორც ბარაისაგან შობილი. სოციალიზმი ხანგრძლივი ევოლუციის ნაყოფი იქნება. ამ შორეულ წესწყობილებას წინ უნდა უძღოდეს შესაფერი სოციალური საფეხურები.

და ერთი ამ საფეხურთაგანი არის ის მინიმუმი პროგრამა, რომელსაც თანასწორათ აღიარებენ სოციალისტები და ბურჟუაზიული რადიკალები, ჟორესი და კლემანსო, პლეხანოვი და მილიუკოვი.

ეროვნული საკითხის სამართლიანათ გადაწყვეტა ამ პროგრამის ერთი მუხლთაგანია.

და ის სოციალისტი, რომელიც ამბობს, პროლეტარიატს არაფერი არ აქვს საერთო ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან და ყველაფრის გადაწყვეტა და განხორციელება მარტო საკუთარი ძალით შეუძლიაო, ან სექტანტია, ან, თუ იცის, რასაც ამბობს, დემაგოგიაა და, მაშასადამე, არათუ არ ეხმარება, არამედ ხელს უშლის დემოკრატიის გამარჯვებას.

კერძოთ ქართველი „ესდეკები", ჩემი ფიქრით, სექტანტებიც არიან და დემაგოგებიც, რადგან კიდევაც გრძნობენ თავის შეცდომას, არცა ტყდებიან და ფანატიკურათ იცვენ ერთხელვე შეთვისებულს ცრუ რწმენას.

და ეროვნულ საკითხში ხომ ისინი ნამდვილი ნილილისტები (უარმყოფელნი) არიან. ვინ იც ს, რა არ დასწამეს ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპს! ავტონომია იგივე ბატონყმობააო, სწერდენ და ქადაგებდენ. ამათ ჯიმოწმებდით ლოუელს, მიჟუევს, ფრანგს ალბერტ მეტენს (იხ. მისი ფრანგული თხზულება: „სოციალიზმი უდოკტრინოთ, ავსტრალია და ახალი ზელანდია"), რომელსაც თავისი თვალით უნახავს ყველაფერი, რასაც აღწერს.

ხან რას არ მოიგონებდენ, ხან რას!

და, რასაც მაშინ წამოაყენებდენ ხოლმე ავტონომიის წინაღმდეგ, ბევრს იმ უცნაურ დებულებათაგანს ხომ ახლაც იმეორებენ. მაგალითად, ისინი სავსებით აღიარებენ „მედემის" აზრს: ავტონომიისთვის დიდი ტერიტორია და ბევრი მცხოვრებია საჭიროო".

მაგრამ აი რას ეუბნება ამის შესახებ მიხ. გრუშევსკი მედემს: „აზრი, ვითომ ზოგიერთი ეროვნული ტერიტორია ძლიერ პატარაა იმისთვის, რომ ავტონომიის ღირსი იყოს, უბრალო სქემატიზმს უნდა მივაწეროთ... არავითარი ობიექტიური პირობა არ გვეუბნება, ავტონომიაში უნდა ცხოვრობდეს, მაგალითად, ხუთი, ათი ან მეტი მილიონიო. სამმილიონიანი ფინლიანდია კარგათ უძღვება თავის საქმეებს. ორმილიონიანი ნორვეგია ჩამოშორდა შვეციასა და ცალკე სახელმწიფო დააარსა, და, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნანობს ამ ჩამოშორებას. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ასიათასი მცხოვრებიც კი არ ყოფილა საჭირო, რომ განსაკუთრებული ავტონომიური უფლება მიეღო რომელსამე კუთხეს''. (იხ. რუსკოე ბოგატსტვო 1913 წ., № 1, გვ. 241).

ჩვენ კი აი რას მოვახსენებთ: 16 ივლისს 1787 წლ. ჩრდილო ამერიკის კონფედერაციის კონგრესმა გამოსცა ორდონანსი ოხაიოს ახალშენთა შესახებ. ამ ორდონანსის ძალით, როდესაც სადმე ახალშენი ჩნდებოდა, მისი პატრონი და კანონმდებელი იყო ჯერ გუბერნატორი, დანიშნული კონგრესის მიერ. მაგრამ, როგორც კი ახალშენის მცხოვრებთა რიცხვი მიაწევდა ხუთი ათასს, მაშინ ახალშენს ეძლეოდა ავტონომია: მისი წარმომადგენელნი კონგრესის მიერ არჩეულ საბჭოსთან ერთად წარმოადგენდენ საკანონმდებლო კრებას, რომელსაც ქონდა იგივე მნიშვნელობა და უპირატესობა, როგორიც რომელიმე დიდი შტატის საკანონმდებლო კრებას. ასე გაშინჯეთ, ეს ახალშენი დეპუტატსაც კი აგზავნიდა კონფედერაციის კონგრესში, თუმცა ჯერ ხმა არ ქონდა. მაგრამ, როდესაც ახალშენის მცხოვრებთა რიცხვი ექვსიათასამდი ავიდოდა, ის აწესებდა რესპუბლიკურ კონსტიტუციას და შედიოდა კავშირში, როგორც თანასწორ-უფლებიანი შტატი. და ამ პატარა ავტონომიურ ერთეულს არ შეეძლო გაეუქმებია მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი კანონი, კონგრესის მიერ გამოცხადებული. მაგალითად, არ შეეძლო შემოეღო მონობა, აეკრძალა რწმენის თავისუფლება და სხ. (იხ. პფლუგ გარტუნგის „მსოფლიოს ისტორია", გვ. 745).

ეს ორდონანსი იყო ძირითადი ღერძი, რომელზეც ტრიალობდა ჩრდილო ამერიკის კონფედერაციის საახალშენო პოლიტიკა. ის სრულიად უარყოფდა ძველ პოლიტიკას, რომელიც ახალშენთა სარგებლობას სხვერპლათ სწირავდა მეტროპოლიის სარგებლობისათვის. ამ პოლიტიკის დედააზრი ის არის, რომ ახალშენს ისეთივე უფლება აქვს, ავტონომიურათ მოაწესრიგოს თავისი საქმეები, როგორც მეტროპოლიას. და ამიტომ მიიზიდა ამ პოლიტიკამ მოახალშენენი აღმოსავლეთიდან და შეუწყო ხელი დასავლეთის გაშენებასა და აყვავებას.

აქიდან ცხადათ ჩანს, რომ ავტონომიისათვის სრულიადაც არ არის საჭირო დიდი ტერიტორია და ბევრი მცხოვრები.

და „მედემისა" და ჩვენი „დასელების" აზრის (?) უსაფუძვლობას მოწმობს სხვათა შორის ავსტრალიის შტატების მაგალითიც. 1899—1900 წელს მხოლოდ ნიუგალში იყო 1,356,650 და ვიკტორიაში 1,163,400 მცხოვრები. ახალ ზელანდიაში კი 756,505, კინსლენდში 482,400, სამხრეთ ავსტრალიაში 370,700, ტასმანიაში 182,300, დასავლეთ ავსტრალიაში 171,030. (იხ. ალბერტ მეტენის წიგნი გამოც. 1901, გვ. 19). თუმცა ასე მცირეა მცხოვრებთა რიცხვი თითოეულ შტატში, მაგრამ ახალი ზელანდია განსაკუთრებულს ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენს, დანარჩენმა ავტონომიებმა კი 1899—1901 წლ. შეკრეს ფედერაციული კავშირი ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ტიპისა: ე. ი. თითოეულ შტატს აქვს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ავტონომია და ყავს საერთო საკანონმდებლო დაწესებულების მეორე პალატაში ორი წარმომადგენელი. ამ მხრით თანასწორია, მაგალითად დასავლეთ-ავსტრალიის შტატი (171,030 მცხ.) და ვიკტორია (1,163,400). (იხ. ამის შესახებ მიჟუევის წერილები და იმავე ალბერტ მეტენის წიგნი, გვ. 13 და 16).

დავუბრუნდეთ კიდევ ჩრდილო ამერიკის შტატების ისტორიას.

1775 წელს, როდესაც მათ ომი გამოუცხადეს ინგლისს, თეთრკანიანთა რიცხვი არ აღემატებოდა ორ მილიონს (იხ. პფლუნგ-გარტუნგის „მსოფლიოს ისტორია", გვ. 520). 1790 წელს ამ რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი იყო მხოლოდ 4 მილიონი, 1800 წ. კი უდრიდა ხუთ მილიონსა და სამასი ათასს!

მაგრამ მცხოვრებთა სიმცირემ ხელი არ შეუშალა მათს გამარჯვებას (30 ნოემბერს 1782 წელს ინგლისმა აღიარა მათი (13 შტატის) დამოუკიდებლობა) (იქვე 624 გვერდი).

მაგრამ „დასელები" ამბობენ: რომელიმე ქვეყანა არ არის ღირსი ავტონომიისა, თუ მის მცხოვრებთა უმეტესობა გლეხობაა, რომელიც ჭიპით არის მიკრული მიწასთანო, რადგან გლეხობა ჩამორჩენილს, ფეოდალურ წესწყობილებას განახორციელებსო. და მხოლოდ მაშინ მოიხმარს ერი კეთილად ავტონომიას, მიწას რომ მოშორებოდა გლეხობაო.

ამ ცრუ შეხედულებას არღვევს ამერიკისავე მაგალითი. 1800 წელს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა მხოლოდ 3,4%-ი შესდგებოდა მოქალაქეთაგან, მთელი 96,6%-ი კი სოფლელთაგან. ე. ი. თითქმის მხოლოდ მიწის მუშებისაგან. (იხ. იქვე 629 გვ.) და ამ მიწის მუშებმა მოიპოეს და-

## რედაქციისაგან. მივმართავთ ხელის-მომწერთა და აგენ-ტებს გაზეთის დარჩენილი დასაგვეთი ფული და ანგარიშები დროით წარმო-ადგინონ.

## ღია წერილი,

,,გულმავიწყთა'' მიმართ

(პეტერბურგის სათვისტომოს მოვალეებს).

ის საგანი რომელზეც ამ წერილში გვექნება ლაპარაკი ,,არ ახალია—ძველია'', მაგრამ, მიუხედავათ თავისი სიძველისა, იმდენათ მწვავეა, რომ არ შეიძლება ხელახლათ არ ილაპარაკოს ამის შესახებ ისეთმა ორგანომ, როგორიც არის სათვისტომო. ყოველი სათვისტომოს გამგეობა პირდაპირ იძულებული ხდება წლითი-წლობით იმეოროს ის, რაც თავისთავათაც ცხადი და გასაგებია. მერე ვის უნდა უმეოროს და აუხსნას—ეს სწორეთ რომ გასაოცარია;—ქართველ ინტელიგენციას! ნუთუ შეგნებულ ადამიანს საანბანო ჭეშმარიტების შეგნება ვერ აქვს იმდენათ ძლიერი, რომ ანგარიში გაუწიოს მას?! ჩვენი სათვისტომოს მოვალენი არ იხდიან ვალს. გასაოცარია, რომ ადამიანს რამდენიმე თუმანი მართებს და ათი და ზოგჯერ მეტი წლის განმავლობაში არ გადაუხდია არც ერთი გროში! ჩვენ ვარა ერთი მაგალითი ვიცით, რომ სათვისტომოს ბევრს ყოფილ წევრს, ახლა მის მოვალეს, თვიური შემოსავალი 300-600 და მეტს მანეთს უდრის, მაგრამ, ჩანს, არ ყოფილა ერთი წამიც, რომ ერთი მათგანი მაინც დაფიქრებოდა შემდეგს: თვიურათ რომ თითო მანეთი მაინც გადაედვათ ამ ვალის გასასტუმრებლათ, ამ ხანში სრულიად თავისუფალი იქნებოდენ ვალისგან. საშინელი ,,გულმავიწყობა'', რომელიც სნეულებათ გადაქცევია სათვისტომოს მოვალეებს, სრულიად აუხსნელია. თითოეულს მათგანს ალბათ გამოუცდია ქონებრივი გაჭირვების მაგარი კლანჭი და სწორეთ ამიტომ მიუმართნია სათვისტომოს სალაროსთვის სესხის მისაღებათ. ნუთუ დაავიწყდათ ის მწარე დღეები, რაც იმათ გამოსცადეს სტუდენტობის ხანში? ეს შეუძლებელია, რადგან სტუდენტობის ხანა ისეთი ხანაა, რომ მისი სიმწარე და სიამე ღრმა სიზერემდი ჩარჩება ადამიანს ხსოვნაში. მაშ თუ ასეა, რატომ არ გაითვალისწინებენ სათვისტომოს მოვალენი, რომელთაც ცხადია, სხვებზე მეტათ და კარგათ უნდა ახსოვდესთ მწარე დღეები, რომ იმავე მდგომარეობაშია ახლა მასწავლე ახალგაზრდობა· რატომ არ დაუფიქრდებიან იმ გარემოებას, რომ სათვისტომოს სალარო ძალაუნებურათ ვერ უწევს საჭირო დახმარებას თავის წევრებს, რადგან ძველ მოვალეებს ვალის გადახდა ეზარებათ და ახალი წყაროები კი იმდენათ მცირეა, რომ გაჭირვებულთა ერთ მეოთხედსაც კი ვერ შველის. ძველი მოვალეების დროს თუ ოცი-ოცდაათი კაცი იყო სათვისტომოში, ახლა, უნდა იცოდენ, რომ გაცილებით მეტია, ერთი ხუთად გადიქცა უწინდელი რიცხვი სტუდენტობისა და, რა თქმა უნდა, მეტ ხალხში მეტი ღატაკიც არის, ვიდრე წინათ იყო. ვიმეორებთ, განა ამაზე ღირს კი ლაპარაკი, მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც სხვა ღონე არ არის, როდესაც ვალების მისაღებათ მისულს გამგეობის წევრს ზოგი მოვალე სახლშიც კი არა უშვებს, ან პირდება მალე მოგცემო, მაგრამ ამ ცდაში გადის თვეზე თვე, წელიწადზე წელიწადი და ვალი ვალათ რჩება. გაუგებარია ის მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობენ სათვისტომოს მოვალენი, როდესაც ვალს არ იხდიან. ნუთუ იქამდი უნდა მიიყვანონ საქმე, რომ მშიერი ახალგაზრდობა სასამართლოს კარამდი მივიდეს! აბა, ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას, სათვისტომოს დახმარებით მოსარგებლე ექიმებმა, რომელნიც ცალი ხელით სნეულს წამალს უწერენ, რასა სჩადის მათი მეორე ხელი, თუ არ ავრცელებს ჩვენს შორის შიმშილის საშვალებით ათასგვარ ავათმყოფობას? ის ვექილები, რომელნიც სასამართლოს დარბაზში თავგამოდებით კიცხვენ ბოროტს და ოქროს ტახტს უდგმენ კეთილს, განა ვალის გადაუხდელობით ჩირველს არ ახარებენ და მეორეს ძირს არ უთხრიან!? თუნდ მასწავლებელნი, რომელნიც ხალხში ნათელის შემტანნი უნდა იყვნენ, რას უწოდებენ თავის საქციელს, როდესაც სათვისტომოს საშვალებას უკარგვენ სწავლის ფულის გადახდაში დაეხმაროს ღარიბ სტუდენტებს? არა გვგონია, ქვეყანა გადატრიალდეს, თუ რომელიმე ზემო მოყვანილი ნდობით აღჭურვილი სათვისტომოს მოვალე ერთი წლის განმავლობაში ჯამაგირიდან იმდენს გადასდებს ყოველთვიურათ, რომ თავიდან მოიშოროს ის, რაც მუქთად არც ერგება და არც უნდა შეერგოს. ამიტომ იძულებული ვართ პრესის საშვალებით მოვაგონოთ სათვისტომოს მოვალეებს, რომ დროა დაუბრუნონ სათვისტომოს ვალი. თუ ჩვენი მოწოდება უყურადღებოთ დარჩება და 15 იანვრამდი მოვალეებისაგან პასუხს არ მივიღებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით მათი გვარები პრესაში გამოვაქვეყნოთ. მსურველთ შეუძლიან გამოგზავნონ ფული შემდეგი მისამართით:

Петербургъ, Малая Дворянская ул. № 21, кв. 23. Николаю Андреевичу Кипшидзе.

პეტერბურგის ქართული სათვისტომოს გამგეობის თავჯდომარე: **ს. ქავთარაძე.**

მდივანი: **ნ. ყიფშიძე.**

## ბ-ნ Woldemar-ს

(წერილი მოსკოვიდან).

გაზეთ „მერცხლი“-ს 83-ე №-ში მოთავსებული იყო ბ. „Woldemar“-ის საპასუხო წერილი, იმ წერილების გამო, რომელიც შეეხებოდა თამარის იუბილეს. სხვა მრავალ მის თავხედობას რომ ყური არ ვათხოვოთ, ერთი მათგანი მაინც მეტათ შეუწყნარებელი და მოუთმენელია. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ქართველ სტუდენტთა წრე ილია ჭავჭავაძის სახელობაზეა დაარსებული და მის სახელს ატარებს. ბ-მა Woldemar-მა თავის წერილში, რომელიც, როგორც ვსთქვით, მის მოწინააღმდეგე წერილების საპასუხოთ დაბეჭდა, ზემოხსენებულ წრეს „უკულტურო“ უწოდა. საუბედუროთ მისდა, ავტორს არ გაუთვალისწინებია არც ის, თუ რას მოასწავებს ამ წრის სახელი და არც ამავე წრის მნიშვნელობა და მოქმედების დანიშნულება. მისი სიბეცე და ბრიყვული საქციელი უყურადღებობასა და დაუდევრობას უნდა მივაწეროთ, რადგანაც, თუ კი გაისჯება და გაითვალისწინებს ამ წრის მიზანს, ასეთ საარაკოსა და დაუსაბამ უაზრობას არ მიეცემა. თვით სახელი გვიჩვენებს, რა დანიშნულებაც აქვს ამ წრეს, რომ მისი მიზანი, მოქმედებანი საქართველოს —ქართველი ერის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ასეთი დაწესებულებანი განამტკიცებენ, როგორც საქართველოს ზოგი შვილის, ისე მთელი ქართველი ერის შემოქმედებით ძალას. თუ თამარის პიროვნების პატივისცემას უარვყოფთ, რადგანაც ის გამომხატველია „აბსოლუტიზმისა'', იმ შემთხვევაში უნდა უარვყოთ მთელი საქართველოს ისტორიაც, მთელი მისი წარსული. უნდა უარყონ მთელმა ერებმა თვისი ისტორია, რადგან არ ყოფილა ერი, რომელსაც ისტორიული აბსოლუტიზმი არ გაევლოს. ჩვენ თუ თამარის ხსოვნას პატივსა ვდებთ, არა იმიტომ, რომ გვსურს დღეს აბსოლუტიზმი გავამეფოთ, არამედ გვსურს ვსცეთ პატივი იმ დროის შესაფერ გამჭრიახ მოქმედებას. ჩვენი დიდი ისტორიული პირები მოქმედებდენ ისე, როგორც მოქმედებდენ მაშინ სხვა ქვეყნებში მრავალი გენიოსი და ბრძენი ხალხი, რომელნიც მხოლოდ აბსოლუტიზმის შექმნას ქადაგებდენ, რომელიც მათი დროისთვის უკეთესი გამომხატველი იყო ხალხის ძლიერებისა და უფლებისა. სხვა წყობილებას მაშინ არც ადგილი ქონდა და არც თავისი წონა; სხვა არა იყოს რა ამას სხვა პირობები ქმნის. თქვენ კი გსურთ,—ჩვენ, ვინც ქართული კულტურის მოყვარულთა სახელს ვატარებთ, უარვყოთ საქართველოს კულტურა, მისი გამომხატველი პირები (საქართველოს კულტურა ხომ მაშინ ძლიერების წერტილზე იდგა). მთელი საქართველოს მწერლობის კორიფეები, რუსთველიდან მოყოლებით, ვიდრე ჩვენ დრომდი—ყველა მის სახელს ღაღადებს. თამარის ქება ამათგან გალექსილი, ქართველ ერს, ქართულს სასიმღერო ჰანგებზე გადმოუღია და გამღერის. განა ყველა ეს საკმაო არ არის, რომ თქვენც, თქვენისთანა პატარა კაცუნებმა პატივი სცეთ, ღირსეული აკუთნოთ ისტორიული დროის ჩვენს სიამაყეს?!

ნუთუ თქვენ იმდენათ შორს წადით, რომ ჩვენ, ვინც დიდებული პიროვნების, ილიას სახელის ფრთებს ქვეშ ვმოქმედობთ, ვატარებთ მის მოსაწონ აზრებს, ,,უკულტურონი'' ვართ?! აქ ისახება ჩვენი უკულტურობა?! იმიტომა ვართ უკულტურონი, რომ ეროვნული იდეის მოძღვრებს ვაფასებთ?!

ჩვენ შეგროვილი ვართ ერთს ასეთ საუკეთესო სახელს ქვეშ; ჩვენი მისწრაფება ქართველთა კეთილდღეობაა, გვსურს გავატკიცოთ ქართველი მამების მიზანი და კეთილი მოქმედებანი, გავითვალისწინოთ ქართველი ერის, როგორც წარსული, ისე აწმყოცა და მომავალიც...

აი, ჩვენი წმინდა დანიშნულება, ჩვენი ვალი. თქვენ ეს არ გესმისთ, არ გინდათ გაიგოთ... მშვიდობა თქვენდა, კულტუროსანნო! **გალაკტიონ მგალობლიშვილი.**

## ,,ჩვენი რუსიფიკატორები''

,,ბირჟევია ვედომოსტის'' 281-ე ნუმერში ამ სათაურით დაბეჭდილია წერილი. მოგვყავს სრულიად მისი შინაარსი. უცნაური იქნებოდა, რომ კავკასიაში რუსიფიკატორთა ბელადათ ტერ-გასპარიანცი არ ყოფილიყო. ტერ-გასპარიანცი რითია ,,კარლ ივანიჩ შუსტერლეზე'' უარესი და ან ბესარაბიის მოლდავანებზე ცუდი, რომლებსაც რუსის ხალხის სახელწოდება მონოპოლიათ აქვთ აღებული. კურსკში დორერი იყო, მინსკში შმიდტი, ბესარაბიაში კი ყოველ მოლდავანტს უფლება აქვს გამოცდილი ,,პატრიოტისა'' და ,,ნაციონალისტის'' პატენტის ტარებისა. თვითოეულის დასახელება ზედმეტ შრომას დორერ-შმიდტ-მალდავანებსა და ტერ-გასპარიანცებს შორის ერთი დიდი განსხვავებაა. მალდავანებს დავალებული აქვთ რუსთა გარუსება. ტერ-გ-ასპარიანცის მოვალეობას კი ქართველების გარუსება შეადგენდა. აქ უცნაური არაფერია, ვინაიდან შექმნა სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებისა და ამ დამოკიდებულებით სარგებლობა ,,გაანაწილე და იუფლეს'' პრინციპით ყოველთვის რუსიფიკატორთა სურვილს შეადგენდა. ტერ-გასპარიანცი მსახურებდა სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში ქუთაისის გუბერნიაში სახალხო შკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე. უცნაური იქნებოდა, რომ გასპარიანცს წმინდათ შეენახა ნაციონალისტური ტრადიციები და არ გამოეჩინა სახაზინო სკივრის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება. ეს იქნებოდა ტრადიციაზე მეტი და თითქმის ნაციონალისტური მოღვაწეობის უმთავრესი ნიშანიც კი. ცხადია, რომელიმე ნაციონალისტმა რომ სახაზინო სკივრის მიმართ გულგრილობა გამოიჩინოს, მაშინვე მის პოლიტიკურ ,,კეთილსაიმედობაში'' ეჭვს შეიტანებენ. იტყვიან, როგორ შეიძლება, ეს რუსიფიკატორი იყვეს, როდესაც სახაზინო სკივრს გვერდს უვლის. ასეთი თვისებისა და ხასიათის არიან რუსიფიკატორები. ტერ-გასპარიანცის ეს ხასიათი და თვისება განვითარდა და ხაზინისათვის საშიში სახე მიიღო. [illegible] ტერ-გასპარიანცი მასწავლებლებისაგან ღებულობდა თავის გასამართლებელ საბუთს და მათ სწერდა ასე. [illegible] თქვენი საბუთი [illegible] ტები. შემდეგ ხაზინიდან ღებულობდა ფულს ორივე [illegible] ლიკატით, ისე ყალბი საბუთით. იწერდა შკოლისათვის სამასი მანეთის ზაგივრათ ექვსასს და შემდეგ შკოლის გამგეს სწერდა: გამომიგზავნეთ სამასი მანეთი, რომელიც შეცდომით გამომიწერია თქვენთვის. და ამ სამასს ჯიბეში იდებოდა როდესაც ასეთი ფული ტერ-გასპარიანცის ჯიბეში 50 ათას მანეთამდი შეგროვდა, მაშინ ის მთავრობამ სამართალში მისცა; ტერ-გასპარიანცმა ამავე დროს შესთხზა შემოსავლის დიდი წყარო. აცნობებდა დირექტორს ამ და ამ შკოლაში გავხსენი რუსიფიკატორული შკოლაო. ამას შემდეგ შკოლის მოსაწყობათ და საჭიროებისათვის ყოველთვეში ღებულობდა ფულს. ახლა გასპარიანცს გაუგეს და ის სამართალში მისცეს. არსებითად ეს მითიური შკოლა, რატომაა პატრიოტულ მოღვაწეობაზე უფრო ცუდი. განსხვავება ის არის, რომ მათ აძლევენ, ტერ-გასპარიანცმა კი თვით აიღო.

## შავიქვის წარმოება.

(,,ბიულეტენი'' № 1, დეკემბერი).

მრეწველობაში კრიზისის შიში არ გამართლდა. ამ წლის ათი თვის ანგარიში მრეწველობის საქმეთა წინსვლას მოწმობს. წელს ჭიათურის შავიქვის მოთხოვნილება აწეულა. საანგარიშო წლის ათ თვეში გასულ წელთან შედარებით, გაცილებით მეტი გაუზიდავთ. გარდა ამისა, ამ ათ თვეში მადნებიც გაძვირებულა და მრეწველთა რიცხვი გამრავლებულა. ჭიათურიდან პირველი იანვრიდან პირველ ნოემბრამდი $57{,}_3$ მილიონი ფუთი შავიქვა გაუზიდავთ, წასულ წელზე $8{,}_3$ ფუთით მეტი. დაახლოებით ყოველთვიურათ რკინის გზით $5{,}_4$ მილიონი ფუთი ქვა გაუზიდავთ. ყველაზე მეტი ქვა მაისში გაზიდულა. ფოთის ნავსადგურიდან 32,752,990 ფუთი შავიქვა გაუტანიათ, ბათომისა 20,456,640 ფუთი. აღსანიშნავია, რომ ბათომიდან გატანილი შავიქვის რაოდენობა ძალიან იზდება და მალე ამ მხრით ფოთს გაუთანასწორდება. წელს ბათომიდან წინა წლებთან შედარებით შავიქვა ხუთჯერ მეტი გაიზიდა. შავიქვა ყველაზე მეტი გერმანიაში გაუტანიათ. გერმანიაში გატანილი შავიქვის რაოდენობა 21,107,000 ფუთია. შავიქვის ბაზრის მხრით მეორე ადგილი დიდბრიტანეთს უკავია და შემდეგ ბელგიას. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც მოუმატია ჭიათურის შავიქვის მოთხოვნილებას. რაც შეეხება სამხრეთ რუსეთს, იქ კი ჭიათურის შავიქვის მოთხოვნილება ძალიან შესუსტებულა. ავსტრო-უნგრეთში, საფრანგეთსა და იტალიაში საანგარიშო წლის ათ თვეში გაუტანიათ სულ 4.064,000 ფუთი შავიქვა. მრეწველთა რიცხვი 1911 წელს 140 ყოფილა, 1912 წელს 164, ხოლო 1913 წელს კი 250, მიმდინარე. წელს ქარხნების რიცხვს ოთხი ქარხანა მოემატა.

## დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგ).

რუსეთი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს სხდომას 4 დეკემბერს აკიმოვი თავჯდომარეობს. აირჩიეს შემთანხმებელი კომისია პოლონეთის თვითმართველობის კანონპროექტის შესახებ. კომისიაში დურნოვო, დემეტრიხა, მაკაროვი, სტიშინსკი, გურკო და სხვები მოხვდენ. საბჭომ მიიღო 15 წვრილი კანონპროექტი. ციხის ზედამხედველთა კურსების დაარსების კანონპროექტი უარყვეს. თავჯდომარის წინადადების თანახმათ საბჭომ დაადგინა მეფეს ექვს დეკემბერს დღეობა დეპეშით მიულოცონ. გასარჩევ საქმეთა უქონლობის გამო სხდომას თავჯდომარე ხურავს.

**ომსკი.** გაიხსნა სასოფლო მეურნეობისა და სავაჭრო ბირჟის წარმომადგენელთა კრება. კრებაზე არიან ციმბირის, ურალისა და სხვა მხრის წარმომადგენლები.

**პეტერბურგი.** პოლიციის რეფორმის კანონპროექტის კომისია პროექტს იხილავს. კომისიის სხდომას შინაურ მინისტრის ამხანაგი, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი და სხვები დაესწრენ. მიიღეს მცირე შესწორებას შემდეგ რამდენიმე მუხლი მთავრობის რედაქციით.

უცხოეთი.

**ბელგრადი.** აღმოსავლეთის რკინის გზათა საზოგადოების დირექტორი მიულერი მოვიდა. მოლაპარაკება აქვს სერბიასთან რკინის გზის გამოყიდვის შესახებ.

განსაკუთრებული მისიის ასასრულებლათ ოსმალეთიდან მოსული გენერალი კადრიბმა სტამბოლს წავიდა.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციამ მიიღო სამხედრო უწყების ბიუჯეტი. ბიუჯეტის

მოკიდებულობა და შექმნეს ისეთი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მიიზიდა ევროპიდან აუარებელი ხალხი. დიახ! სწორეთ ის გლეხობა, რომელიც იყო მიწაზე მიკრული, იყო მიზეზი, წარმომშობი თანამედროვე უდიდესი დემოკრატიული რესპუბლიკისა.

მაგრამ, იქნება იფიქროს ვინმე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა უკვე ღარ არიან გლეხებიო? ისინი უკვე აიყარენ და ქალაქებში გადასახლდენო?

სრულიადაც არა. დღეს ამ შტატების მცხოვრებთა მხოლოდ $^1/_3$-ია მოქალაქე, ორი წილი კი მიწის მუშაა. და, ცხადია, ქალაქებს ეს მიწის მუშები ასაზრდოებენ და ამდიდრებენ.

მაშასადამე, სოფლებიდან აყრა და ქალაქებში გადასახლება სრულიადაც არ ყოფილა საჭირო დემოკრატიის განვითარებისათვის.

პირიქით, ბატარა მუშა-მემამულეებმა, ან ფერმერებმა, შექმნეს თანამედროვე შესანიშნავი დემოკრატია ჩრდილო ამერიკის შტატებისა.

ჩრდილო შტატებში თავიდანვე დასახლენ დამოუკიდებელი მიწის—მუშები. ამიტომ იქ მაშინვე განვითარდა ფერმერთა, დამოუკიდებელ მიწის-მუშათა ახლოშენები. სამხრეთის შტატებში კი დაესახლენ დიდი კაპიტალისტები, რომელნიც ამუშავებდენ შავკანიან მონებს თუთუნისა, ბრინჯისა, ინდიგოს და ბამბის პლანტაციებში. ამიტომ ჩრდილი დასავლეთით გავრცელდენ წვრილ ფერმერთა, ან დამოუკიდებელ მიწის-მუშათა ახალშენები, სამხრეთის შტატებში კი მონობაზე დამყარებული პლანტაციები. და, როდესაც მოხდა ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მონათა გათავისუფლების გამო, ჩრდილ-დასავლეთის ფერმერებმა, ან გლეხებმა, გადასწყვიტეს ამ ომის ბედი და მოუპოვეს გამარჯვება დემოკრატიას.

ამ ფერმერებმავე განავითარეს უმაღლეს ხარისხამდი დემოკრატიზმი; მათ განახორციელეს ყველაზე უფრო ადრე: საყოველთაო და თანასწორი არჩევნები, ქალთა თანასწორობა, თანამდებობის პირთა არჩევა, ქალთა და ვაჟთა ერთად აღზდა და სხ. (იხ. იქვე 642—655 გვ.). და აქიდან ჩანს, რომ მიწასთან კავშირი სრულიადაც არ უარყოფს დემოკრატიულ პრინციპს, როგორც ფიქრობენ „დასელები“.

და „ავალოვის“ მიმდევრებმა კი შეიძლება გვითხრან: სად გაქვთ განვითარებული ლიტერატურა ან კრედიტი ან სხვა რამე კულტურული დაწესებულებაო? მაშ რა უფლებით თხოულობთ ავტონომიასო?...

აი ჩვენი პასუხი.

როდესაც ჩრდილოამერიკის შტატებმა გომაუცხადეს ომი ინგლისს, მაშინ იქ არც სწავლა-განათლების საქმე იყო რიგიანათ მოწყობილი, არც ლიტერატურა იყო განვითარებული და არც არავითარი სხვა დარგი წმინდა ხელოვნებისა. მეცნიერებასა და ფილოსოფიას ხომ თითქმის სულ არ ქონდა ნიადაგი (იხ. იგივე გვ. 630). მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი თავისუფლების მოპოვებას. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკელებს ქონდათ ერთი რამე, რაც შობს ყოველგვარ ენერგიასა, სხვათა შორის, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც, მეცნიერებასაც და ლიტერატურასაც, ე. ი. ქონდათ მიწა და ყავდათ დამოუკიდებელი მიწის მუშები.

აი ის საფუძველი, რომელმაც შექმნა ქვეყნის უდიდესი დემოკრატიული რესპუბლიკა მისი სიმდიდრითა და ტეხნიკით, მეცნიერებითა და ლიტერატურით.

დიახ! მიწაზე მიკრული გლეხობაა ის საფუძველი, რომელიც შობს და ქმნის ავტონომიურ თვითმართველობასა და ამ თვითმართველობაზე აღმოცენებულ კულტურასა და განათლებას.

ამას გვეუბნება ფაქტები. მაგრამ „დასელებისთვის“ ფაქტებს არაფერი მნიშვნელობა არ აქვს: მათ მხოლოდ ვიწრო პარტიული მიზანი და ტაქტიკა აინტერესებს. რა ვუყოთ, დემოკრატიული ქვეყნები რომ სულ სხვა იდიალისკენ! მიგვითითებენ ოღონდ პლეხანოვსა და ლენინს არ აწყენინონ და პარტიული დისციპლინა დაიცვან, ისინი მზათ არიან სამშობლო სამსხვერპლო ზვარაკათ გაიმეტონ!

და რას მოასწავებს, ავტონომიისთვის რომ დიდ ტერიტორიასა და დიდ ერს თხოულობენ? შოვინიზმს, რადგან იციან, რომ პატარა ერები ჩარგული არიან და. თუ მათაც ეღირსათ ავტონომია, დიდმა ერებმა ხელი უნდა აიღონ ბატონობაზე.

მშასადამე, ვინც უარყოფს პატარა ერების ავტონომიას, ის უარყოფს ინტერნაციონალიზმს, ერთა თანასწორობას, აღიარებს დიდი ერთა ბატონობას.

ეს შოვინისტური მიმართულება გერმანიიდან გადავიდა რუსეთს და იქიდან ჩვენში.

„დასელები“ რომ პატარა ერების ავტონომიას უარყოფენ, მათი პირით რუსეთის ესდეკები გველაპარაკებიან. „დასელები“ მხოლოდ ბრმა იარაღს, უსულო ლახტს წარმოადგენენ, რომელიც რუსეთის ესდეკთა პარტიამ შემოუქნია პატარა ერებს. **ტყვია.**

საბაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი
მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ
აბრეშუმის ჭიის თესლის

# ნ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელ-შიც 200 კოლოფია ექვს მისლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საჭრომში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია დეკანტი ქქთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულო-ბის, ავეჯეულობის და შპალიერის
ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სახოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


შესახებ მსჯელობის დროს ფლოტის უფროსმა სთქვა:—თუ რა ტრაგიკული შედეგი მოყვება ხოლმე საზღვაო შეიარაღების უყურადღებოთ დატოვებას, ამის მაგალითს ბალკანეთის ომი წარმოადგენსო. შეეხო რუსეთისა და იაპონიის ომს, და ფლოტის საქმის კარგათ დაყენების საჭიროება აღიარა.

**ლონდონი.** იმ ხმებს, ვითომ ჩერჩილი გერმანიას მიდიოდეს, უარყოფენ.

**დიუერშული.** ადგილობრივი ეკლესია ცეცხლმა სანახევროთ დაანგრია. ხმებია—ცეცხლი ეკლესიას სუფრაჟისტმა ქალებმა გაუჩინესო.

**ლიდისი.** ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა გაფიცვა შესწყდა.

**ლონდონი.** საფოშტო კავშირის ნაციონალური კონფერენცია იუწყება:—კონფერენციამ გადასწყვიტა საკითხი ფოშტის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ სხვა დროისათვის გადაიდვასო. განიხილეს საკითხი საერთო გაფიცვის შესახებ, მაგრამ საერთო გაფიცვის გამოცხადება უარყვეს.

**ტოკიო.** იაპონიის მრეწველთა სინდიკატს შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრის სარგებლობის შესახებ ჩინეთის მთავრობა შეუთანხმდა.

პროვინცია შანსში მოეწყო აქციონური საზოგადოება რომელიც სამხრეთ სახალინში ქაღალდის ქარხანას მოაწყობს.

**რომი.** ჯიოკონდას სურათის გამტაცებელს მრავალი პირის თანდასწრებით ოფიციალური ჩვენება ჩამოართვეს. გამტაცებელი გატაცების ისტორიას მშვიდობიანი კილოთი მოყვა.

**პარიზი.** სენატში დუმერგმა განაცხადა:—ერთი საკრედიტო დაწესებულების გადაწყვეტილება, რომ ოსმალეთისათვის რამდენიმე მილიონი ფრანკი სესხათ მიეცა, მთავრობამ თავის დროზე ვერ გაიგო. მთავრობა აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს, რომ ნაციონალური კაპიტალი ნაციონალურ საჭიროებას ხმარდებოდეს. ასეთი ფაქტები, რომ არ გამეორდეს კაიომ ცირკულიარი გამოსცა.

**ლონდონი.** ადგილობრივი სამართველოს უფროსმა რუსეთის სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა, მუშათა სახლების აშენების საქმე კარგათ მიდისო.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში ლივიის საკითხის შესახებ მინისტრ-პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა.

**პარიზი.** გაზეთი „რადიკალი" საბერძნეთის განზრახვის გამო, რომ ფრანგ მოვალეებს ვექსილით გაუსწორდენ, პროტესტს აცხადებს.

**ტოკიო.** სამხედრო სამინისტრომ კორეიაში მცხოვრებთაგან პეტიცია მიიღო.

**ბუქარესტი.** სენატის სეფე სიტყვის საპასუხო სიტყვაში რუმინიის ჯარია შექებული. გამოთქმულია აგრეთვე პრინცესა მარიამის მიმართ მადლობა ხოლერიანთა მოვლის გამო. სენატი. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების გამო, მადლობას ეუბნება მეფესა და ხალხს.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია გარეშე საქმეთა მინისტრის ბიუჯეტს იხილავს ჩეხელმა სოციალდემოკრატმა გააკრიტიკა საგარეო პოლიტიკა და წინადადება მისცა დელეგაციას—საგარეო მინისტრის მოღვაწეობა გაკიცხოს.

**ბერლინი.** პრუსიის სახალხო განათლების მინისტრი გაფიცვის გამო სამსახურიდან გადადგა.

## რ უ ს ე თ ი.

**საქალაქო დებულება პოლონეთში.** 30 ნოემბერს სახელმწიფო საბჭომ დაასრულა პოლონეთის საქალაქო დებულების კანონპროექტის განხილვა, რომელითაც უარყოფილია პოლონურ ენაზე საქმის წარმოება და საბჭოს კრებაზე ამავე ენაზე ლაპარაკი და გადახცა შემთანმებელ კომისიას. სახელმწიფო საბჭოს ასეთმა მოქმედებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის მაღალ სფერებში. სხვათაშორის, გერმანიის რეიხსტაგში დეპუტატმა გოტხეიმ განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭომ შეუწყნარებელი პოლიტიკური შეცდომა მოახდინა, რადგანაც რუსეთს მან გზა მოუჭრა, რომლითაც შესაძლებელი იყო პოლონეთთან დაახლოება. საბჭოსთვის ნათელი უნდა იყოს, რომ განაპირა ქვეყნების საკითხის გამწვავება გამოიწვევს ნაციონალურ აღელვებასა და გააჩენს შინაურ მტრებს. ცენტრალური მართვაგამგეობა რუსეთში წარმოუდგენელია. წაართვან პოლონელებს სამშობლო ენა და ამავე დროს მოსთხოვონ მას რუსეთის სიყვარული? —ეს დაბრმავებააო. სახელმწიფო საბჭო ძველი გაცვეთილი გზით მიდის და იმეორებს ძველ შეცდომებს. პოლონელების სამშობლო ენის უარყოფა გამოწვეულია „ზოოლოგიური ნაციონალიზმით" და მას უკმაყოფილების, ვნებისა და სიძულვილის მეტის მეტი არაფერი შეუძლიაო.

**ფინლიანდიური გაზეთის ბედი.** ერთ-ერთ ფინლიანდიური გაზეთის სარედაქციო კომისიის წევრები ვიბორგის ციხის კომენდანტმა გენ. პეტროვმა ადმინისტრატიული წესით თავისი რაიონიდან გააძევა. გენერლის ასეთი განკარგულება დამყარებულია იმ ადგილის დებულების 73 მუხ., რომელიც ეხება იმ პირს, ვინც რაიმე ექვს ბადებს სტრატეგიული, საჯაშუშო, სამხედრო საიდუმლოების გამოაშკარავების და სახელმწიფოს ღალატის მხრით. ხოლო სარედაქციო კომისიას, ცხადია, ასეთ მოქმედებაში ბრალი არ ედვა. რუსეთის მოწინავე პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია გენ. პეტროვის ასეთს უკანონო განკარგულებას, ვინაიდან შეუწყნარებელია ასეთი ზომის მიღება ფინლიანდიაში, სადაც ადმინისტრატიულათ გაძევების ინსტიტუტი ჯერ მაინც შემოღებული არ არის.

## ნ ა რ ე ვ ი.

**მდუმარეთა კლუბი.** მოსკოვში აარსებენ ისეთ კლუბს, სადაც ლაპარაკი აკრძალული იქნება. კლუბის ერთერთ დამაარსებელს უთქვამს:—ლაპარაკი ერთგვარ შრომას წარმოადგენს, რომელზეც ბევრი ფული იხარჯებაო. კლუბის წევრები ვალდებული იქნებიან კლუბში ყოფნის დროს ერთი სიტყვა არ წარმოსთქვან. კლუბში იქნება ბილიარდისა და შახმატების თამაშს გარდა მუსიკა და სიმღერაც კი მოწვეულ ხოროს მიერ. კლუბის დამაარსებელთა შორის ბევრია ლიტერატორი, მემუსიკე, მხატვარი, კომერსანტი და ვექილიც.

## დაბა-სოფლები.

**თამაკონის საზოგადოება** (ოდიში). არა მგონია, სადმე იყოს ისეთი მივიწყებული მხარე, როგორც თამაკონის საზოგადოებაა. ვის როგორც უნდა, ისე უფროსობს; ვის როგორ უნდა, ისე აბრუნებს ხსენებული საზოგადოების ბედ-იღბლის ჩარხს თავისი პირადი სარგებლობისთვის და საზოგადო საქმეზე კი ვინ იწუხებს თავს? წელს თამაკონის საზოგადოებაში სიმინდის მოსავალი განახევრდა, ხალხს შიმშილობა კარზე მოსდგომია და სასტიკათ ემუქრება, შველა კი არსაიდან ჩანს. ისეც ილაჯ გაწყვეტილმა ხალხმა უნდა ყიდოს მცირე მოსავალიც, რომ მით დაფაროს გადასახადები, და იხსნას ოჯახი აწიოკებისაგან. ამ საზოგადოების ბატონ-პატრონები არინდობენ ხალხს; ერთმა მწერალმა ვალდებულობაზე მეტი გადასახადი დააწერა ხალხს და კიდევაც მოაგროვა, მაგრამ ორიოდე პირის საშვალებით საქმის ვითარება გაიგეს და ეს ვაჟბატონიც სამსახურიდან გააძევეს.

აქ ორკლასიან აგრონომიულ—განყოფილებიან შკოლასთან არსებობს ბაღი. ეს ბაღი შემოსავალსაც იძლევაო, მაგრამ ხალხი წლიურათ მაინც იხდის მებაღის ქირას და საყვედურები ისმის, რომლის ასაცდენათაც საჭიროა საზოგადო კრება, რომ გაიგონ ბაღის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და ხალხს ტვირთი შეუმსუბუქონ. „ც".

—

**ს. სადმელი** (რაჭა). განათლებამ სადმელის საზოგადოებაშიც შემოდგა ფეხი. აქ არსებობს: ფოშტა ტელეგრამის განყოფილება, საკრედიტო ამხანაგობა, ერთი ორკლასიანი სასწავლებელი, ერთი საქალო სასწავლებელი, ორი სამრევლო შკოლა და სამკითხველო; ფიქრობენ—დააარსონ კოოპერატიული სავაჭრო, რის დაარსებაც, იმედი გვაქვს, აქაურს შრომის მოყვარე ინტელიგენტებს არ გაუჭირდებათ. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა გლეხებია. ყველა ეს გაგიკვირდებათ როცა გაიგებთ, რომ სადმელები ღარიბი ხალხია. მთელ სოფელში ვერ ნახავთ ათ მოსახლეს, რომ იმდენი მიწა ქონდეს, წლის სარჩო მოუვიდეს. თითქმის ყველა ოჯახიდან ორი-სამი კაცი შორს სხვადასხვა ქალაქს მიდის და იქ გაჭირვებით გროშს გროშზე ადებს, რომ ც.ოლ-შვილი შიმშილით არ ამოუწყდესთ. წელს მოსავალმა ისე უმტყუნათ, რომ რა გინდ კაი მოსახლეც იყოს, თებერვლამდი თავს ვერ გაიტანს. თუ დროზე მშველელი არავინ გაუჩნდათ, ღმერთმა იცის, რა დღე დაადგებათ.

ა. ჯანელიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჭიათურისა და ქუთაისის საზოგადოების ყველა იმ პირს, ვინც კეთილი ინება და შემოსწირეს და გადმომცეს ქართული წიგნები სმოლენსკის საკატორღო ციხესთან არსებულ ბიბლიოთეკისათვის გასაგზავნათ.

მცირე, მარა ცხრა კლიტულში მჯდომთათვის უხვი სულიერი საზრდოთი, საშვალება მიეცემათ ცოტათი მაინც შეიმსუბუქონ სასჯელი და სულიერათ გამხნევდენ ჩვენი მწერლების ნაწარმოებით.

**გვრა დულამის ასული.**

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**


# საჭიროა

პატარა ბავშვის მოსავლელათ პატათა გოგო 12—16 წლომდი. პირობების გაგება შეიძლება:

ბალახვანის ქუჩა სახლი მახარაძისა № 22 სახლის პატრონთან.

# ა. ი. კოხტაძის
## ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)

კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი

## დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა.

—✦ ფასები ძლიერ დაკლებულია. ✦—

კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.

ფ ა ს ე ბ ი უ ც ვ ა ლ ე ბ ი ა.

| КУРСЫ кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | ПРІЕМЪ заказовъ на элегантные дамскіе наряды |
|---|---|

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомь и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахь Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ*: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**


## რ კ ი ნ ი ს გ ზ ა.

| ქუთაისიდან მიდის | | | ქუთაისს მოდის | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. 6 წ. | **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. — |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. | | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 28 წ. |
| **ბათუმს:** | სახალხო დილის | 5 საათ. 10 წ. | **ბათუმიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 21 წ. | **ფოთიდან:** | სააგარ. დილ. | 10 საათ. 3 წ. |
| **ფოთს:** | სააგარაკო დღის | 4 საათ. 22 წ. | | სახალხო დღით | 1 საათ. 20 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 10 წ. | | სახალ. ღამით | 1 საათ. 26 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. 21 წ. | **შორაპნიდან:** | სააგარ. დილის | 9 საათ. 31 წ. |
| **შორაპანს:** | სააგარაკო დღით | 4 საათ. 57 წ. | **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. 11 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. 50 წ. | | | |

ბ ი ლ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |


# მოითხოვეთ ყველგან!!!

პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისაგან საუკეთესო
მომზადებული ნამდვილი გლიცერინის

# საპონი.

იყიდება კავკასიის ყველა საფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
# ნ. ასათიანისა და ი. ბერულიძის.

ქ. ქუთ. ალექსანდრეს ქ. სახ. თევდორაძისა. ვლებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.